1959

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფურცლები

№ 7 (94) ივლისი 1959 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება კასპის რაიონის ცენტრის დაბა კასპის რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ.

2. ბრძანებულება ახმეტის რაიონის ცენტრის სოფელ ახმეტის ქალაქის ტიპის დასახლებად—დაბად გარდაქმნის შესახებ.

3. ბრძანებულება დმანისის რაიონის ცენტრის სოფელ დმანისის ქალაქის ტიპის დასახლებად—დაბად გარდაქმნის შესახებ.

4. ბრძანებულება ამბ. მ. დ. ჩუბინიძის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ.

5. ბრძანებულება ამბ. ა. ა. გიგოშვილის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

6. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მაიაკოვსკის, მარნეულის, სიღნაღის და ქარელის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგმასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

7. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოტანილი ჭარადაწყვეტილებებისა და განკარგულებების კანონიერების შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში.

8. საქართველოს სსრ ვაჭრობისა და ფინანსთა სამინისტროებში და წყალტუბოსა და ხაშურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებში მთხოვნელთა მიღებისა და მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ.

9. ბრძანებულება ნ. ი. ბადრიაშვილის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

10. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კასპის ი. ბ. სტალინის სახელობის ცემენტის ქარხნის მეოთხე მბრძანავი ლუმელის მშენებლობასა და მონტაჟზე.

11. მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ. უმაღ. საბჭოს ბიბლიოთეკა
საკავშირო ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება კასპის რაიონის ცენტრის დაბა კასპის რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გარდაიქმნას კასპის რაიონის ცენტრი დაბა კასპი რაიონული დაქვემდებარების ქალაქად.

2. კასპის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნებამდე საქალაქო საბჭოს მოკალეობის შესრულება დაეკისროს კასპის სადაბო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 24 ივნისი.

2. ბრძანებულება ახმეტის რაიონის ცენტრის სოფელ ახმეტის ქალაქის ტიპის დასახლებად—დაბად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გარდაიქმნას ახმეტის რაიონის ცენტრი სოფელი ახმეტა ქალაქის ტიპის დასახლებად—დაბად.

2. ახმეტის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს არჩევნებამდე სადაბო საბჭოს მოვალეობის შესრულება დაეკისროს ახმეტის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 24 ივნისი.

3. ბრძანებულება დმანისის რაიონის ცენტრის სოფელ დმანისის ქალაქის ტიპის დასახლებად—დაბად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გარდაიქმნას დმანისის რაიონის ცენტრი სოფელი დმანისი ქალაქის ტიპის დასახლებად—დაბად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. დმანისის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს არჩევნებამდე სადაბო საბჭოს მოვალეობის შესრულება დაეკისროს დმანისის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 24 ივნისი.

4. ბრძანებულება ამხ. მ. დ. ჩუბინიძის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. მირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძე საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის თანამდებობისაგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 7 ივლისი.

5. ბრძანებულება ამხ. ა. ა. გიგოშვილის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დანიშნოს ამხ. არჩილ ალექსანდრეს-ძე გიგოშვილი საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 7 ივლისი.

6. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მაიაკოვსკის, მარნეულის, სიღნაღის და ქარელის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანიზაციული მუშაობის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მაიაკოვსკის, მარნეულის, სიღნაღის და ქარელის რაიონების მშრომელთა დეპუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტატების საბჭოებმა სათანადოთ გაშალეს ორგმასობრივი მუშაობა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. სოფლის მეურნეობის მუშაკთა რაიონულ თათბირებზე განიხილეს გასული სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეცხოველეობის განვითარების საკითხებს და აღებულ იქნა გადიდებული ვალდებულებანი მეცხოველეობის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის შემდგომი ამაღლების საქმეში. რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სათავეში ჩაუდგნენ მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში რაიონის მშრომელთა მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას და დასახეს და განახორციელეს ღონისძიებანი, რის შედეგადაც გაიზარდა ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო სამეურნეო სავარგულზე ხორცის, რძის და კვერცხის წარმოება მარნეულის, სიღნაღის და ქარელის რაიონების კოლმეურნეობებში.

შემოშვებულ რაიონებში აგროტექნიკურ ვადებში ჩატარდა სასილოსე კულტურების და ბალახების თესვა. მიმდინარეობს ნათესი ბალახების და ბუნებრივი სათიბების თიბვა. მაიაკოვსკის, მარნეულისა და სიღნაღის რაიონებში დაიწყო სილოსის ჩადება.

სათანადო ღონისძიებათა გატარების შედეგად მეცხოველეობის ფერმები დაკომპლექტებული არიან მომზადებული და საქმის მცოდნე კადრებით, მათ შორის რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატებით, რომლებიც მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. მაგალითად, ქარელის რაიონის სოფელ აბისის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწველავმა, სასოფლო საბჭოს დეპუტატმა ე. ჭელიძემ მიმდინარე წლის ხუთ თვეში თვითეული საფურაეე ძროხიდან ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 700 ლიტრისა, 1240 ლიტრი რძე მიიღო, ხოლო მარნეულის რაიონის სადახლოს სასოფლო საბჭოს დეპუტატმა ჰიურე უსუბამ ნაცვლად 400 ლიტრისა—945 ლიტრი.

მაიაკოვსკის, მარნეულის, სიღნაღის და ქარელის რაიონებმა გადაქარბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დაწზადების ნახევარი წლის გეგმები ყველა სახეების მიხედვით. მიმდინარეობს მეცხოველეობისათვის შენობა-ნაგებობებისა და სასილოსე ორმოების მშენებლობა.

ამასთან ერთად მშრომელთა დეპუტატების მაიაკოვსკის, მარნეულის, სიღნაღისა და ქარელის რაიონულ და სასოფლო საბჭოებს მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ორგანიზაციულ-მასობრივ ღონისძიებათა გატარების საქმეში გააჩნიათ რიგი ნაკლოვანებანი.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული და სასოფლო საბჭო და აღმასკომი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეს, ეშვიათად, ხოლო ზოგჯერ ზერელედ იხილავს მეცხოველეობის განვითარების საკითხებს და არ იღებს ქმედით ზომებს სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის შემდგომი განვითარებისათვის. სიღნაღის რაიონის ტიბაანის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომმა მიმდინარე წლის 15 მაისს ზერელედ და სრულიად მოუმზადებლად განიხილა „მეძროხეობის ფერმაში წველადობის მიმდინარეობის საკითხი". სხდომაზე დამსწრე 18 ამხანაგიდან აზრი გამოთქვა მხოლოდ ერთმა კაცმა. მიღებულ იქნა ზოგადი გადაწყვეტილება, რომელსაც არ შეუძლია წველადობის გადიდებაზე დადებითი გავლენის მოხდენა.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის არადამაკმაყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებლად მუშაობენ მშრომელთა დეპუტატების მაიაკოვსკის რაიონული და სასოფლო საბჭოები. უკანასკნელი ერთნახევარი წლის მანძილზე აღნიშნული საბჭოების სესიები არცერთხელ არ განუხილავთ მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საკითხები, მაშინ როცა მაიაკოვსკის რაიონი გასული და მიმდინარე წლის მაჩვენებლების მიხედვით წველადობის მხრივ რესპუბლიკაში ყველაზე ჩამორჩენილია.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთ რაიონულ და სასოფლო საბჭოსთან არსებული სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია ჯერ კიდევ არ შესდგომია მუშაობას. მაგალითად, ქარელის რაიონში მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და 4 სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიას არ შეუსწავლია მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის შემდგომი გადიდების საკითხები და არ შეუტანია განსახილველად სესიაზე ან აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე.

ზოგი რაიონული და სასოფლო საბჭო არ სწავლობს წველადობაში დაბალი მაჩვენებლების მიზეზებს ცალკეული კოლმეურნეობის მიხედვით და არ ღებულობს ზომებს მდგომარეობის გაჯანსაღებლად, რის გამოც ბევრია ისეთი კოლმეურნეობა, რომელშიც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ადგილი აქვს წველადობის შემცირებას. მაგალითად, მარნეულის რაიონის 35 კოლმეურნეობიდან წველადობა შემცირდა 9 კოლმეურნეობაში, მაიაკოვსკის რაიონის 18 კოლმეურნეობიდან—6 კოლმეურნეობაში და ქარელის რაიონის 35 კოლმეურნეობიდან—4 კოლმეურნეობაში.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ბერწიანობის ლიკვიდაციას, პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და პირუტყვის საერთო ჯოგში დედა პირუტყვის სულადობის გადიდებ-ს საქმეს, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საერთო რიცხვში დედა პირუტყვის ხვედრითი წონა 15—25 პროცენტს არ აღემატება. მიუხედავად ამისა, რომ შეიოწმებული რაიონების კოლმეურნეობებში საერთო სულადობის გეგმები შესრულებულია გადაჭარბებით, არ არის შესრულებული ძროხების სულადობის გეგმები.

შემოწმებული რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში საკმაო ყურადღება არ ექცევა მსხვილფეხა პირუტყვის გასუქებას, რის გამოც სახელმწიფოსათვის ჩაბარებული პირუტყვის შემადგენლობაში ბევრია საშუალოზე დაბალი სიმსუქნისა და ჯანდაგი პირუტყვის რაოდენობა. მარნეულის რაიონის კოლმეურნეობათა მიერ მიმდინარე წელს ჩაბარებული 1039 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიდან 443 სული საშუალოზე დაბალი სიმსუქნის, ხოლო 253 სული ჯანდაგი იყო; ქარელის რაიონის კოლმეურნეობათა მიერ 1959 წელში ჩაბარებული ხორცის საერთო რაოდენობიდან 20 პროცენტი საშუალოზე დაბალი სიმსუქნისა და ჯანდაგი იყო. შემოწმებული დროისათვის მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში არც ერთი სული პირუტყვი არ იყო დაყენებული სუქებაზე და არც საკოლმეურნეობათაშორისო გასასუქებელი პუნქტები იყო მოწყობილი, რის გამოც სახელმწიფოს ბევრი დაბალი კონდიციის პირუტყვი ბარდება.

შემოწმებული რაიონების ზოგიერთ საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმაში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მეცხოველეობის მუშაკთა კულტურული მომსახურების საქმე. მათ იშვიათად უჩვენებენ კინოსურათებს, არ აწყობენ მხატვრული კოლექტივების გამოსვლებს, იშვიათად ტარდება ბოხსენებები და საუბრები აქტუალურ თემებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაეკალოს მაიაკოვსკის, მარნეულის, სიღნაღისა და ქარელის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს (ამხ. ამხ. მირიანაშვილი, მამედოვი, კოპაძე და ერისთავი):

ა) აამაღლონ ორგმასობრივი მუშაობის დონე, მიაღწიონ იმას, რომ საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი და კულტურულ-აღზრდელობითი ხასიათის ღონისძიებანი მჭიდროდ იყოს დაკავშირებული მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ბრძოლასთან;

ბ) გაზარდონ სასოფლო საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში, სესიებზე და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე რეგულარულად განიხილონ მეცხოველეობის განვითარების ცალკეული საკითხები, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობაში არსებულ გამოუყენებელი რეზერვების გამოვლინებასა და მათს გამოყენებას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის;

გ) გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო საბჭოებს, აგრეთვე მეცხოველეობის მუშაკთა შორის, მოაწყონ მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილების განზოგადება და წახალისების ყველა საშუალებათა გამოყენება;

დ) რაიონულმა და სასოფლო საბჭოებმა მკვეთრად გარდაქმნან სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების მუშაობა, მიაღწიონ იმას, რომ მუდმივი კომისიები მეცხოველეობის საკითხების შესწავლისა და თავიანთი წინადადებების მომზადებაში ფართოდ იყენებდნენ დეპუტატებსა და სოფლის აქტივს;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეცხოველეობის განვითარების საქმეში ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეისწავლონ წველადობის შემცირების, ხორცის წარმოების დაბალი მაჩვენებლებისა და მეფრინველეობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის მიზეზები და გაუწიონ კოლმეურნეობებს საჭირო დახმარება ამ ჩამორჩენის გამოსწორების საქმეში;

ვ) ხორცის წარმოების გადიდების მიზნით მოაწყონ პირუტყვის გასუქების ორგანიზაცია საკოლმეურნეობათაშორისო სასუქი პუნქტების მოწყობისა და საქონლის ბაგურ კვებაზე და იალაღებზე გასასუქებლად დაყენების გზით. აუკრძალონ კოლმეურნეობებს მშვე და ჯანდაგი პირუტყვის სახელმწიფოსათვის ჩაბარება, ამასთან გაზარდონ ღორის ხორცის ხვედრითი წონა სახელმწიფოსათვის მისასყიდი ხორცის რაოდენობაში;

ზ) მიიღონ ზომები საკოლმეურნეო პირუტყვის საერთო ჯოგში დედა პირუტყვის სულადობის გადიდებისათვის, პროდუქტიული პირუტყვის მოშენების გეგმების ამთავითვე შესრულებისათვის, ბერწიანობის ლიკვიდაციისა და ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის;

თ) გარდაქმნან მუშაობა პირუტყვისათვის საკვების დამზადების დარგში, ხელიდან არ გაუშვან ამინდის ხელსაყარელი პირობები თივისა და სხვა უხეში საკვების დამზადებისათვის, გააუმჯობესონ სასილოსედ ნათესი სიმინდის მოვლა-დამუშავება და უზრუნველყონ უხეში და წვნიანი საკვების დამზადების გეგმების აუცილებელი შესრულება;

ი) დაარჩარონ მეცხოველეობისათვის შენობა-ნაგებობისა და სასილოსე ორმოების მშენებლობა, იმ ანგარიშით, რომ ცხოველთათვის სადგომი ბინე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მშენებლობა დამთავრდეს არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა, ხოლო სასილოსე ორმოებისა — არაუგვიანეს პირველი აგვისტოსი;

კ) დაკომპლექტონ მეცხოველეობის ფერმები გამოცდილი და საქმით დაინტერესებული მუშაკებით, შეუქმნან მათ მუშაობისთვის საჭირო პირობები, გაათვალისწინონ მეცხოველეთა კულტ-მასობრივი მომსახურება, საკოლმეურნეო ფერმებსა და საზაფხულო საძოვრებზე პერიოდულად მიავლინონ კულტურის სახლებთან და სასოფლო კლუბებთან არსებული მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, რეგულარულად ჩაუტარონ მათ მოხსენებები და საუბრები აქტუალურ საკითხებზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სათანადო დახმარება გაუწიოს რესპუბლიკის კოლმეურნეობებს მეცხოველეობის ფერმების მშენებლობასა და მოწყობაში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს განიხილონ ეს დადგენილება რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომების სხდომებზე და დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის ორგანიზაციო მუშაობის დარგში არსებული ნაკლოვანებების ლიკვიდაციას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 11 ივლისი.

7. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების კანონიერების შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში

მოისმინა რა საქართველოს სსრ პროკურორის ამხ. მ. ე. თოფურიძის მოხსენება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და მათთა აღმასრულებელი კომიტეტები გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების გამოტანისას საკმაო ყურადღებას უთმობენ საბჭოთა კანონიერების ზუსტად გატარების საქმეს, რის შედეგადაც საბჭოების სესიებზე და აღმასკომებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ამასთან ერთად მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთ აღმასკომს სათანადო დასკვნები არ გაუკეთებია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 12 ივლისის დადგენილებიდან და არ მიუღია საჭირო ზომები დადგენილებაში აღნიშნულ შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, რის შედეგადაც მათ მიერ მიღებული რიგი გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგო და აღეკვატება სრულიად საქართველოს ცკკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1931 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით გათვალისწინებულ ნორმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1958 წლის 13 ოქტომბერს მიიღო სავალდებულო გადაწყვეტილება ქალაქის ქუჩებში პირუტყვის თავისუფლად გაშვების აკრძალვის შესახებ და მისი დარღვევისათვის არაკანონიერად დააწესა: პირველად — ჯარიმა 100 მანეთამდე, განმეორებით შემთხვევაში — ორმაგი რაოდენობით, ხოლო მესამე შემთხვევაში უმეთვალყურეო გაშვებული პირუტყვის დამამზადებელი ორგანიზაციისათვის ჩაბარება და პატრონის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, ნაცვლად იმისა, რომ დაეწესებინა ჯარიმა 50 მანეთამდე ან ადმინისტრაციული წესით იძულებითი მუშაობის მისჯა.

ქალაქ გორის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა 1958 წლის 8 აგვისტოს მიიღო გადაწყვეტილება „ცოფის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ" რომლითაც დადგინა წესების დამრღვევთა დაჯარიმება ან მათი სასამართლო პასუხისგებაში მიცემა იძულებითი მუშაობის მისასჯელად, მაშინ როცა ასეთ შემთხვევაში იძულებითი მუშაობა ხორციელდება ადმინისტრაციული წესით. ანალოგიური შეცდომა დაუშვა გორის რაიონის შშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა 1958 წლის 18 სექტემბრის № 2 სავალდებულო გადაწყვეტილებაში.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომი იჭრება სხვა ორგანოთა ფუნქციებში და გამოაქვს ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც არ შედიან მათ კომპეტენციაში. მაგალითად, გაგრის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა 1958 წ. 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სახალხო სასამართლისა და პროკურატურის ზედამხედველობა დაავალა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს; ქედის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებულმა ბავშვთა და მოზარდთა მოვმწყობმა კომისიამ მითითებისა რა სასამართლოს ფუნქციები, 1958 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით მოქ. მ. ბერიძეს ჩამოართვა დედის უფლება.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის საბჭოს აღმასკომში ირღვევა კოლეგიალობის პრინციპი და რიგი საკითხი იხილება და წყდება ერთპიროვნულად აღმასკომის თავმჯდომარის მიერ და ფორმდება ბრძანებით. მაგალითად, კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორი დანიშნული იქნა ბრძანებით, მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ბრძანებით საყვედური გამოეცხადათ აღმასკომის საერთო განყოფილებისა და მშენებლობისა და არქიტექტურის სამმეთა განყოფილების გამგეებს.

გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა 1958 წლის 30 ივლისის № 388 გადაწყვეტილებით სამუშაოდან მოხსნა სოფელ ლულის კოლმეურნეობის სარეგიზიო კომისიის თავმჯდომარე.

არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი საბჭოს სესია ტარდება დებულების დარღვევით. მაგალითად, კასპის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს 1958 წ. 14 ოქტომბერს ჩატარებულ სესიას 35 დეპუტატიდან მხოლოდ 21 დეპუტატი, ე. ი. ორ მესამედზე ნაკლები დაესწრო, ხოლო ხოვლეს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს მეთერთმეტე სესიას — 28 დეპუტატიდან 17; კასპის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს აღმასკომი არ იცავს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიის დებულებას. მუდმივი კომისიები მიაჩნია თავის დაქვემდებარებულ ორგანოდ და აძლევს მათ დავალებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის შემთხვევები, როცა კოლმეურნეობათა გამგეობები არღვევენ არტელის წესდებით, აგრეთვე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წ. 11 იანვრის ბრძანებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ნათესთა და ნარგავთა წანახდებით გამოწვეულ ზარალს ინაზღაურებენ თავისი დადგენილებით—სასოფლო საბჭოს აღმასკომების გადაწყვეტილების გარეშე. მაგალითად, სოფელ ტყვიავის კოლმეურნეობის გამგეობამ 1958 წ. 19 ივლისს ბალახის წანახდისათვის სამას-სამასი მანეთით დააჯარიმა მოქ. მოქ. გ. ლაფაჩი და დ. ელიზბაროვი, ხოლო 1958 წ. 17 სექტემბერს ნარგავთა წანახდისათვის ას-ასი მანეთით დააჯარიმა ორი კოლმეურნე. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობის გამგეობის მიერ გამოტანილი დადგენილებები რაიპროკურორის მიერ გაპროტესტებული იქნა, გამგეობამ არ გააკეთა საჭირო დასკვნა და 1958 წ. 10 დეკემბერს კიდევ დააჯარიმა 9 კოლმეურნე 95-დან 145 მანეთამდე. ანალოგიური შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ტირძნისისა და კარალეთის კოლმეურნეობებშიც.

ბორის, ლენტეხის, კასპისა და რიგი სხვა რაიონების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები პროკურორის მიერ შეტანილ პროტესტებსა და წარდგინებებს დაგვიანებით, ხოლო ზოგჯერ სრულიად არ იხილავენ.

ცაგერისა და ლენტეხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს არ შეუსრულებიათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 12 ივლისის დადგენილებით გათვალისწინებული დავალება—აღნიშნული დადგენილების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) განიხილონ ეს დადგენილება და მიიღონ გადამჭრელი ზომები მასში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, არ დაუშვან მომავალში ანალოგიურ დარღვევათა და კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებათა გამოტანის შემთხვევები;

ბ) გააცნონ ეს დადგენილება ქვემდგომ საბჭოების აღმასკომებს; სისტემატურად შეამოწმონ ქვემდგომ საბჭოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა კანონიერება და მოისმინონ მათი ანგარიშები საბჭოს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე;

გ) მოაწყონ სემინარები ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელი მუშაკებისათვის საბჭოთა კანონმდებლობის შესასწავლად კვალიფიციური ლექტორების გამოყენებით;

დ) პროკურორების პროტესტები და წარდგინებები განიხილონ კანონით დადგენილ ვადებში და მკაცრად დასაჯონ ის პირები, რომლებიც დაარღვევენ მათ.

2. ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა სავალდებულო გადაწყვეტილების გამოტანის დროს ზუსტად იხელმძღვანელონ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1931 წლის 17 სექტემბერს დამტკიცებული დებულებით „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

3. საქართველოს სსრ პროკურატურამ ქალაქისა და რაიონული პროკურატურის მეშვეობით კიდევ უფრო გააძლიეროს ზედამხედველობა ხელისუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიულ განყოფილებას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისათვის დახმარების გასაწევად ა/წ 1 ნოემბრისათვის მოამზადონ და გამოსცენ კრებული საბჭოების მუშაობის საკითხეებზე.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ანგარიში ამ დადგენილების შესრულებაზე მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი**.

ქ. თბილისი.
1959 წ. 11 ივლისი.

8. საქართველოს სსრ ვაჭრობისა და ფინანსთა სამინისტროებში და წყალტუბოსა და ხაშურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებში მთხოვნელთა მიღებისა და მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობისა და ფინანსთა სამინისტროებში, წყალტუბოსა და ხაშურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებში მთხოვნელთა მიღებისა და მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმე ძირითადად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. აღნიშნული სამინისტროებისა და საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელები რეგულარულად იღებენ მთხოვნელებს და დროულად იხილავენ მშრომელთა სიტყვიერ და წერილობით საჩივრებსა და განცხადებებს.

მშრომელთა წერილებისა და საჩივრების აღრიცხვა და რეგისტრაცია ძირითადად დამაკმაყოფილებლად სწარმოებს. შემოწმებული სამინისტროებისა და საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელები ყურადღებას აქცევენ რათა სწორად და დროულად იხილავდნენ მშრომელთა წერილებსა და საჩივრებს მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციები. მაგალითად, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ 1959 წელში ორჯერ განიხილა კოლეგიის სხდომაზე მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა, ხოლო ხაშურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭომ აღმასკომმა სამჯერ შეამოწმა ეს საკითხი რაიონის სხვადასხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და განიხილა თავის სხდომაზე.

ამასთან ერთად შემოწმებულ სამინისტროებსა და საბჭოების აღმასკომებში მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვის საქმეში ჯერ კიდევ არის ზოგიერთი ნაკლოვანებანი. შემოწმებით დადგენილი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმებულ სამინისტროებსა და რაიონული საბჭოების აღმასკომებში არ უკეთებენ ანალიზს შემოსულ წერილებსა და საჩივრებს რათა ლიკვიდაცია გაუკეთონ იმ მიზეზს, რომლებიც იწვევენ ამ წერილებისა და საჩივრების წერას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობისა და ფინანსთა სამინისტროებს, წყალტუბოსა და ხაშურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს აღმოფხვრან მთხოვნელთა მიღებისა და მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, რომლებიც აღნიშნულია ამ დადგენილებაში, რისთვისაც:

ა) მოაწესრიგონ მშრომელთა წერილებისა და საჩივრების აღრიცხვა;

ბ) უზრუნველყონ განცხადებებისა და საჩივრების დროული განხილვა და განმცხადებლებისათვის პასუხების მიცემა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 14 დეკემბრის დადგენილებით გათვალისწინებულ ვადებში;

გ) პერიოდულად შეამოწმონ მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში და ორგანიზაციებში და მიიღონ საჭირო ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) წერილები და საჩივრები, რომლებიც თავისი ხასიათით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ, როგორც წესი, შეამოწმონ უშუალოდ ადგილებზე;

ე) არ დაუშვან წერილებისა და განცხადებების,—რომლებიც საჩივრის ხასიათისაა,—იმ ორგანიზაციებისათვის და პირებისათვის გაგზავნა, რომლებსაც უჩივიან განმცხადებლები;

ვ) პერიოდულად გაუკეთონ ანალიზი შემოსულ წერილებსა და განცხადებებს მათი წარმოშობის მიზეზების გამოსავლინებლად და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ამ მიზეზთა სალიკვიდაციოდ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს მიიღონ ზომები მთხოვნელთა მიღებასა და მშრომელთა წერილებისა და განცხადებების განხილვის მოსაწესრიგებლად; სისტემატურად შეამოწმონ როგორ სრულდება აღნიშნული საკითხი მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, განიხილონ კოლეგიებისა და აღმასკომების სხდომებზე და უზრუნველყონ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობისა და ფინანსთა სამინისტროებს, წყალტუბოსა და ხაშურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1959 წლის 15 სექტემბრისათვის ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ბრძანებულება ნ. ი. ბადრიაშვილის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით და ქართული კულტურის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაჯილდოვდეს თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ყოფილი დირექტორი—ნიკოლოზ იასეს-ძე ბადრიაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 6 ივლისი.

10. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კასპის ი. ბ. სტალინის სახელობის ცემენტის ქარხნის მეოთხე მბრუნავი ღუმელის მშენებლობასა და მონტაჟზე

კასპის ი. ბ. სტალინის სახელობის ცემენტის ქარხნის მეოთხე მბრუნავი ღუმელის მშენებლობისა და მონტაჟის დამთავრებასთან დაკავშირებით, რომელიც აშენდა ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსთა და მუშათა ინიციატივით შინაგანი საწარმოო რეზერვების გამოყენების გზით, სარეკორდოდ მცირე დროში და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. არაქელოვი არსენ ნიკოლოზის-ძე — პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე
2. ზაალიშვილი ვენერა შალვას ასული — სამუშაოთა მწარმოებელი
3. ზოვადოვი ნიკოლოზ გრიგოლის-ძე — ქარხნის მთავარი მექანიკოსი
4. კობაიძე ივანე იოსების-ძე — მეზეტონე
5. კუპატაძე ვარლამ სოლომონის-ძე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო სამშენებლო მასალების სამმართველოს მთავარი ინჟინერი
6. მათეშვილი გიორგი თომას-ძე — ქარხნის პირველადი პარტორგანიზაციის პარტბიუროს მდივანი
7. მეგრელიშვილი სერგი ზაქარიას-ძე — ხურო
8. ნიავაძე ანგი ირაკლის-ძე — ზეინკალი
9. ოვანესიანი კამო ოვსეპის-ძე — უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. პანჩენკო ალექსანდრე დემენტის ძე — ელექტრომემდუღებელი
11. პაპიაშვილი ვახტანგ იოსების-ძე — ქარხნის დირექტორი
12. ჟვიძე დავით გაბრიელის-ძე — ზეინკალი
13. სამხარაძე მიხეილ ნიკოლოზის-ძე — კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი
14. ჩაფიძე გიორგი სოლომონის-ძე — ქარხნის მექანიკური საამქროს უფროსი
15. ცხაკაია გიორგი ბაგრატის-ძე — ქარხნის მთავარი ინჟინერი
16. წიკლაური სოლომონ ივანეს-ძე — ელექტროტექნიკურ სამუშაოთა მემონტაჟეების ბრიგადირი
17. ხერკელაძე ივანე პეტრეს-ძე — შემდუღებელი
18. ჯუმაევი სანგინ ჯუმას-ძე — ღუმელის სამონტაჟო სამუშაოების ხელმძღვანელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 11 ივლისი.

11. მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1959 წლის 11 ივლისის ბრძანებულებით დააჯილდოვა „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით 522 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქალაქ თბილისიდან	8
—„—ფოთიდან	3
—„—ბიათურიდან	1
ადიგენის რაიონიდან	7
ახმეტის —„—	24
ბოგდანოვკის —„—	24
გეგეჭკორის —„—	26
გორის —„—	29
დმანისის —„—	18
დუშეთის —„—	22

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდის რაიონიდან 43
თელავის —„— 2
თეთრიწყაროს —„— 19
ლაგოდეხის —„— 29
მარნეულის —„— 191
სამტრედიის —„— 14
სტალინირის —„— 25
ტყიბულის —„— 6
ქარელის —„— 7
წალკის —„— 24